

**უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის  
(შიდა მობილობის)  
მსურველთა საყურადღებოდ!**

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების სხვადასხვა საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) უნივერსიტეტის ფარგლებში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობა) მსურველებმა, განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014 წლის 8 სექტემბრიდან 13 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება ყოველდღე 10<sup>00</sup> საათიდან 16<sup>00</sup> საათამდე გამოსასვლელი დღეებისა და კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);

**წარმოსადგენი დოკუმენტაცია:**

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
5. სტუ-ს ბუღალტერიიდან (ოთახი N 210) ცნობა გადახდის შესახებ

**შენიშვნა:** მობილობის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად შექმნილი დროებითი საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე.